შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის დადგენილებით შექმნილი თემატური, მუნიციპალიტეტებთან საკოორდინაციო, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

27.07.2023

თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მდივანი:

გულიკო მაჭარაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსი სპეციალისტი;

ანა ხაჭაპურიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი.

დანართები:

დანართი N1. შეხვედრის დღის წესრიგი.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილმა, რომელიც მიესალმა თემატური სამუშაო ჯგუფის წევრებს და მოკლედ ისაუბრა თემატური ჯგუფის შექმნის მიზნებზე და მუშაობის პრინციპზე და აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას სამოქმედო გეგმა შიდა სამუშაო დოკუმენტის სახით, სადაც თავმოყრილი იქნება საბჭოს წევრების მიერ წამოჭრილი პრიორიტეტული საკითხები, რაზეც სამომავლოდ უნდა იმუშაოს კომიტეტმა. პრემიერ მინისტრის მრჩეველმა დამსწრეებს გააცნო მიმდინარე შეხვედრაზე განსახილველი თემა, რომელიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილების ერთიანი წესის და რეგულაციების განსაზღვრას.

საკითხის შესახებ მოხსენება წარმოადგინა რამინ მაჭარაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებში არსებობს შშმ პირთათვის მანქანის პარკირებისათვის საჭირო საშვების პრობლემა, ასევე აღინიშნა, რომ ერთ მუნიციპალიტეტში გაცემული საპარკინგე საშვი მხოლოდ იმავე მუნიციპალიტეტში გამოიყენება, რაც ბევრ დაბრკოლებას ქმნის. მოცემულ საკითხთან ერთად რამინ მაჭარაშვილმა ისაუბრა მუნიციპალიტეტების შენობების არაადაპტირებულობის შესახებ. - მან აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევენ შენობაში, რომ საშვი მოითხოვონ. ამის გათვალისწინებით, კარგი იქნება, თუ განიხილება მომავალში იუსტიციის სახლის მიერ ასეთი საშვების გაცემის საკითხი.

საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თავმჯდომარემ, გიორგი ძნელაძემ გამოთქვა მოსაზრება რომ დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით უნდა გავეცნოთ საერთაშორისო პრაქტიკას, როგორ არის ეს საკითხი დარეგულირებული და შემდგომ ქართულ რეალობას მოვარგოთ, ასევე აღნიშნა, რომ თბილისში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების საკითხის რეგულირების გამოცდილება არსებობს, და კარგი იქნება, თუკი ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც პოზიტიური პრაქტიკის და ისე გამოწვევების კუთხით.

საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, დავით ბიბილეიშვილმა ისაუბრა მანქანის პარკინგის საშვების ტექნიკურ საკითხზე, აღნიშნა, რომ საშვი უნდა ეკუთვნოდეს პიროვნებას და არა მანქანას, რადგან გარკვეული შეზღუდვის მქონე პირებს არ აქვთ მანქანის მართვის შესაძლებლობა.

საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, გიორგი ენუქიძემ აღნიშნა, რომ მანქანის პარკირებასთან ერთად მნიშვნელოვანია და მოსაგვარებელია სამგზავრო ბარათების საკითხი. დღეისათვის არსებობს პრაქტიკა, რომ ერთ მუნიციპალიტეტში გაცემული სამგზავრო ბარათის გამოყენება მხოლოდ იმავე მუნიციპალიტეტში არის შესაძლებელი, რაც სასურველია რომ შეიცვალოს და ერთხელ გაცემული სამგზავრო ბარათი საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში გამოიყენებოდეს.

საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტმა, ამირან ბატატუნაშვილმა ისაუბრა ყრუ პირებისათვის მანქანის პარკირების საშვის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ სხვა შეზღუდვის მქონე პირების მსგავსად ყრუ პირებსაც ექმნებათ

დაბრკოლება, როდესაც საპარკინგე ნიშნის მიმდებარე შენობა, რომლითაც მათ უნდა ისარგებლონ არ არის ყრუ პირისათვის ადაპტირებული.

იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა, ნატალია აბაშმაძემ ისაუბრა იუსტიციის სახლის მომსახურებებზე, რომლებიც ყველა მუნიციპალიტეტში არის ხელმისაწვდომი და აღნიშნა, რომ მანქანის პარკირების საშვის გაცემის რეგულირებისათვის იუსტიციის სახლს აქვს შესაბამისი მზაობა, თუმცა მსჯელობის მოსმენის პროცესში ბევრი შეკითხვა გაუჩნდათ იუსტიციის სახლის წარმომადგენლებს, როგორიცაა მაგალითად, რამდენად უნდა იყოს შესაძლებელი განცხადების ერთ ფილიალში ჩაბარება და საშვის სხვა ფილიალიდან აღება, როგორი ფორმით უნდა დაიბეჭდოს საშვი, შესაძლებელი იქნება თუ არა ინფორმაციის ელექტრონული ბაზიდან წამოღება და ა.შ. შესაბამისად სერვისზე მუშაობის პროცესში ბევრი შეკითხვა ჩნდება, თუმცა ეს შემდგომი სამუშაო იქნება.

იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა ანა გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ სერვისის ადმინისტრირების დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია იმაზე, თუ ვინ და რის საფუძველზე გასცა საშვი და რა დოკუმენტები იქნა წარმოდგენილი განმცხადებლის მიერ.აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ იუსტიციის სახლი ვერ განსაზღვრავს კრიტერიუმებს კონკრეტულად ვისზე შეიძლება გაიცეს საშვი; თანამშრომლისთვის ძალიან კონკრეტული უნდა იყოს დავალება, რა შემთხვევაზე რა დოკუმენტი უნდა მოითხოვოს, ვისზე შეიძლება გაიცეს დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია. არის შემთხვევები, როდესაც პირს არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა აქვს შეზღუდული შესაძლებლობა - უნდა განისაზღვროს როგორ ვიქცევით ასეთ შემთხვევებში.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მარიამ მახათაძემ აღნიშნა, რომ სახალხო დამცველს სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების საკითხზე აქვს შეტანილი საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლოში, თბილისის საკრებულოს დადგენილებასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნას ახლო პერიოდში და წაადგეს მოცემული ჯგუფის მუშაობას.

საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, ნანა ლომაძემ ისაუბრა მაღალმთიან რეგიონებში არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ მაღალმთიან რეგიონებში ტრანსპორტი თითქმის არ არსებობს, ამიტომ იქ მცხოვრებ შშმ პირებს ნაკლებად აინტერესებთ პარკინგისა და სამგზავრო ბარათების საკითხი, მათთვის გაცილებით პრიორიტეტულია ზოგადად ტრანსპორტი და მისი ადაპტირება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ისაუბრა დასახელებული საკითხების ნორმატიულ რეგულირებაზე და აღნიშნა, რომ ამ საკითხებს აწესრიგებენ მუნიციპალიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე გასათვალისწინებელია, რომ პარკირების წესის მიღების შემდეგ შესაძლოა გამოჩნდეს ხარჯები. საკითხის დამუშავების პროცესში შესაძლებელია აგრეთვე, მუნიციპალური დოკუმენტბრუნვის სერვისების მოდელის შეთავაზებაც. ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ ერთიანი წესის განსაზღვრას უფრო

რთულად გადასაწყვეტ საკითხად მიიჩნევს, რადგან მუნიციპალიტეტებს აქვთ ინდივიდუალურად დამტკიცებული წესები.

ორგანიზაცია ნალაგის წარმომადგენელმა, კახა გურგენიძემ აღნიშნა, რომ NALAG-ს გააჩნია საექსპერტო რესურსი, იზიარებს გაჟღერებული საკითხების აქტუალობას და მზადაა ნებისმიერ მსგავს საკითხში მონაწილეობისთვის.

დანართი N1 – დღის წესრიგი

საქართველოს მთავრობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების
კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი კომიტეტის სამუშაო ჯგუფის
შეხვედრა

განსახილველი საკითხი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების ადგილებისერთიანი წესის და რეგულაციების განსაზღვრა

<u>დღის წესრიგი</u>

27 ივლისი, 2023

ადგილი: რადისონ ბლუ ივერია

თბილისი14:30 – 18:00 საათი

დრო	საკითხი
14:30 – 15:00	რეგისტრაცია, ყავა-ჩაი
15:00 – 15:15	სხდომის გახსნა, მისალმება და ინფორმაცია მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ ნიკო თათულაშვილი - საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, კომიტეტის თავმჯდომარე
15:15 – 15:45	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და საკითხის აქტუალობის მიმოხილვა რამინ მაჭარაშვილი - ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის, იურისტი გიორგი ძნელაძე - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თავმჯდომარე
15:45 – 16:30	დისკუსია საკითხის აქტუალობის ირგვლივ
16:30 – 17:30	დისკუსია გაფართოებული და სარედაქციო ჯგუფის ჩამოყალიბებაზე, მუშაობის წესებსა და გრაფიკზე
17:30 – 18:00	სხდომის შეჯამება